



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მხატვრული კინოს რეჟისურა"

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2023 წლის 26 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2023 წლის 6 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	6
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	295
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	38

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე ვახტანგოვი, სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო გელოვანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	მხატვრული კინოს რეჟისურა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Fictional film directing
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების მაგისტრი რეჟისურაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2016 წლის 26 ივლისის N67 გადაწყვეტილება
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**
 - ეს არის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია 2016 წლიდან. ამჟამად არის 120 ECTS-იანი 2 წლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც შეიცვალა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანალიზის, სტუდენტების მოსაზრებების, შრომის ბაზრის კვლევის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების გათვალისწინებით. სილაბუსები განახლდა, ახალი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა და განახლდა სასწავლო რესურსი.
 -
 - **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 26 სექტემბერს და დაიწყო რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეხვედრით. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეხვედრები თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და დამსაქმებლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა, IT სერვისები და სტუდიები.
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - ფაკულტეტის ყველა წევრი, უმაღლესი მენეჯმენტიდან დაწყებული მოწვეული პერსონალით დამთავრებული, მხარს უჭერს სამაგისტრო პროგრამას. მის მიმართ დიდი ენთუზიაზმითა და მხარდამჭერით განმსჭვალულმა სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ჯგუფმა დატოვა დადებითი შთაბეჭდილება, ისევე როგორც ძალიან პოზიტიურმა დაინტერესებულმა მხარეებმა. აშკარა გახდა, რომ უნივერსიტეტში არის სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს ხარისხს, თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას.
 - ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი შესწავლილ იქნა და დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა თავისი მკაფიო მიზნებითა და ამოცანებით, აგრეთვე სწავლება-სწავლის აქტივობის აღწერილობით.
 - ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის, ისევე როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდები ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებენ, რაც იძლევა ხარისხის შენარჩუნების საფუძვლიან სისტემას მთელი ორგანიზაციის ფარგლებში.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიწოდებისას მიზანშეწონილია წარმოადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზიც.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სხვადასხვა ფაკულტეტს ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკის განვითარებაში. ახალი პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო საშუალებებით.

მხატვრული კინოს რეჟისურის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობა სტანდარტებთან:

სტანდარტი 1: სრული შესაბამისობა

სტანდარტი 2: სრული შესაბამისობა

სტანდარტი 3: სრული შესაბამისობა

სტანდარტი 4: მეტწილი შესაბამისობა

სტანდარტი 5: სრული შესაბამისობა

▪ **რეკომენდაციები:**

- 2.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო წყაროებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და პოტენციური კანდიდატებისათვის უცხო ენის კომპეტენციის დამადასტურებელი მოთხოვნების გამოცხადება .
- 4.2 რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მიმართ მოთხოვნები და ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდისას პრიორიტეტი მიენიჭოს დარგში დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს.
- 4.4 განახლდეს ბიბლიოთეკის როგორც ფიზიკური სივრცე, ისე წიგნადი ფონდის მოცულობა. ბიბლიოთეკას ესჭირდება კარგი ინვესტიცია, რათა სტუდენტებს მიაწოდოს უახლესი ბიბლიოგრაფია თანამედროვე ხელოვნების დიზაინის საერთაშორისო სფეროებიდან როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით. ეს ბიბლიოგრაფია საბოლოოდ აისახოს სასწავლო გეგმასა და კურსის სილაბუსებში.
- 5.3 რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, არსებული საუკეთესო პრაქტიკა პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1.4 მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურის გაძლიერება კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული მეტი თეორიული მასალით. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს კვლევის მეთოდოლოგიის კურსის დამატებით ან სხვა არსებული კურსების გაძლიერებით - მაგ. კურსისა "სამაგისტრო ნაშრომი" კვლევის მეთოდოლოგიების მეტი კონტექსტით. ეს არის ნორმალური მახასიათებელი საერთაშორისო დონეზე ნებისმიერი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო პროგრამისთვის; ასევე ერთ-ერთი მთავარი განსხვავება საბაკალავრო და სამაგისტრო საფაზურის სწავლებას შორის.

3.1 სასურველია დაწესებულებამ ყურადღება მიაქციოს უცხო ენის სწავლებას, რათა დაწესებულების სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი მოკლემეტრაჟიანი ფილმების სხვა ქვეყნებში ან/და საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენა.

- 4.1 სასურველია პროგრამის განვითარებისთვის მხატვრული კინოს რეჟისურის სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება, ასევე სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.
-
- 4.4 სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ საკმაოდ ხშირი შეხება ტექნიკურ აღჭურვილობასთან და შეიძინონ ცოდნა მისი პრაქტიკაში მაქსიმალურად გამოყენების კუთხით, რადგან უახლესი ტექნოლოგიები აუცილებელია კინოინდუსტრიის განვითარებისთვის.
- 4.4 ყურადღება მიექცეს ფიზიკური რესურსების მუდმივ განახლებას და მთლიანი სივრცის შენარჩუნებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით (უკეთესი ვენტილაცია, განათება და ა.შ.).
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უნივერსიტეტის არგუმენტები და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ გადაწყვიტა არ გაიზიაროს უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა რეკომენდაციები და წინადადებები უცვლელად დაეტოვებინა, რადგან მიუხედავად არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსი, რომელიც არსებობს და რომელიც ადასტურებს

⁵ პრაქტიკა, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია და რომელიც შეიძლება გახდეს საორიენტაციო ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისთვის.

რეკომენდაციებს და/ან რჩევებს, უნივერსიტეტმა არა მხოლოდ უნდა გაითვალისწინოს ისინი, არამედ დაუყოვნებლივ დაიწყოს მათი განხორციელება.

ასევე, უსდ-მ წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია შეცვლილი კვალიფიკაციის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ამჟამად მოქმედ სწავლის კვალიფიკაციების კლასიფიკატორთან.

უნივერსიტეტმა აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინა 2023 წლის 1 მაისს და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მაშინ მოქმედ საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და კვალიფიკაციების ჩარჩოს. 2023 წლის ივლისში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ხელოვნების დარგებში მოხდა გარკვეული ცვლილებები, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიცვალა ზოგიერთი კვალიფიკაციის ფორმულირება. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა უკვე განმარტა ზემოაღნიშნული საკითხი და ცენტრს გაუზიარა ოფიციალური წერილი, კერძოდ, პროგრამის კვალიფიკაცია იყო "ხელოვნების მაგისტრი რეჟისურაში" - თუმცა, ზემოაღნიშნულის მიხედვით, კვალიფიკაცია შეიცვალა - "აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრით".

- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო პროგრამას, რომელიც თავდაპირველად 2016 წელს იყო აკრედიტებული, გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაცია:

- განახლდა და დაიხვეწა "შემოქმედებით ტურში" აბიტურიენტების შეფასების სისტემა;
- სილაბუსებში დაზუსტდა შეფასების ფორმები;
- განახლდა ლიტერატურა, დაემატა რიდერები;
- საანგარიშო პერიოდში (2013-2018 წწ.) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს 1102/ნ ბრძანების საფუძველზე პროგრამაში შევიდა ცვლილებები: შეიცვალა შეფასების სისტემა, მინიმალური კომპეტენცია, დაწესდა ლიმიტი შუალედურ და საგამოცდო შეფასებებში, რის შედეგადაც სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა გახდა უფრო მოქნილი და ორიენტირებულია აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე.
- შეიცვალა და ხელახლა დამტკიცდა კოდების მინიჭების პროცედურა

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ვიზიტამდე გამოიგზავნა, ასევე ვიზიტის დროს ჯგუფის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით (რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან) დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, აგრეთვე უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის ზოგად მიზანსა და ამოცანებს - უზრუნველყოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ როგორც მაღალპროფესიონალებმა შემოქმედებით ინდუსტრიაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნების წვლილი საზოგადოებისთვის განსაზღვრულია სასწავლო დარგის დისციპლინის მიხედვით და იწვევს საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას და ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას თანამედროვე კინოს ინდუსტრიაში. პროგრამის მიზნები ასევე საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს ჩამოიყალიბონ პროფესიული ღირებულებები, დააფასონ თანამედროვე სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და საკუთარი შემოქმედების როლი კინოინდუსტრიაში, განსაკუთრებით საავტორო უფლებებისა და პროფესიული ეთიკის პატივისცემით. პროგრამის მიზნები, ასევე ჩამოყალიბდა მსგავს სფეროებში მოქმედ სხვადასხვა რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გამოიგზავნა ვიზიტამდე, ისევე როგორც ჯგუფის დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და დაკავშირებულია მხატვრული კინოს რეჟისურის სფეროს პროგრამის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგების ფორმულირება იყო საფუძვლიანი ეტაპობრივი პროცესი და ითვალისწინებდა სამაგისტრო პროგრამის დისციპლინის თავისებურებებს. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავს დაინტერესებული პირების, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული

პერსონალის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და დამსაქმებლების/გარე შემფასებლების მონაწილეობას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტებში აჩენს პასუხისმგებლობის გრძნობას, რათა უზრუნველყონ სწავლება-სწავლის მიმდინარე პროცესი დამთავრების შემდეგ.

სწავლის შედეგები დაყოფილია 3 მთავარ ნაწილად:

- ცოდნა და გაცნობიერება
- პრაქტიკული უნარები
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ამ 3 კატეგორიის საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგები ნათელია და ითვალისწინებს ყველა იმ შემადგენელ ნაწილს, რაც სტუდენტებს კრეატიული ინდუსტრიის უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის სჭირდებათ. მხატვრული კინოს რეჟისურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კინოწარმოების ინდუსტრიის სპეციფიკურ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეროვნებასა და ანალიზს.
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც გამოიგზავნა ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის დროს ჯგუფის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით (რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან) დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არსებობს და სისტემატურად ხორციელდება მხატვრული კინოს რეჟისურის მაგისტრატურის ორწლიანი ციკლის განმავლობაში.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ ფასდება იმ პერიოდულობით რაც დარგის სპეციფიკისთვის არის გათვალისწინებული.

პროგრამის შესაფასებლად შემუშავებულია შიდა თვითშეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თვითშეფასების შიდა პროცესს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, გარე შემფასებლები, სამუშაო ჯგუფები, უნივერსიტეტის ფაკულტეტი და ადმინისტრაცია). ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდები ერთმანეთთან კავშირშია და ეს უზრუნველყოფს საფუძვლიან სისტემას ხარისხის შესანარჩუნებლად.

თვითშეფასების ანგარიშშიც იყო აღნიშნული და გარკვეულწილად ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ ყველა შესაბამისი მხარე ინფორმირებული და ჩართული აღმოჩნდა შეფასების პროცედურებში. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებულები იყვნენ პროცესის შესახებ, ეს ნათელია და გასაგები. გარდა ამისა, ისინი სწავლის შედეგების შედგენისა და გაზომვის პროცესშიც მონაწილეობენ.

თვითშეფასების პროცესი გულისხმობს პროგრამის ძლიერი ასპექტებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას და მათი განვითარებისა და დაგეგმვის ინტერვენციების ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და შედეგების მონიტორინგის შემდეგ ტარდება სწავლის შედეგების შეფასება და შედარება სამიზნე ნიშნულებთან.

სწავლების და სამეცნიერო კვლევის კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად. სათანადოდ არის გათვალისწინებული სასწავლო სფეროს სპეციფიკური ასპექტები და საგანათლებლო საფეხური. შეფასების ფორმები და მეთოდები, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, შესაბამისია. სწავლის შედეგების შეფასების გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვარდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.)
- მიზნებისა და შედეგების რუკები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროგრამის შესაფასებლად სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის/შეფასების შედეგები;
- პროგრამების თვითშეფასების შედეგად პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისათვის
- #### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე ვიზიტის დროს ჯგუფის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით (რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან) აღმოჩნდა, რომ მხატვრული კინოს რეჟისურის მაგისტრატურის 2 წლიან ციკლს აქვს მყარი და ძალიან მკაფიო სტრუქტურა, რამაც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც შეიძლება მოიტანოს მრავალმხრივი და კომპლექტური პროფესიონალებით უზრუნველყოფა შემოქმედებით კინოინდუსტრიაში. ამ სტრუქტურის აშენებისას მთელი ძალისხმევა გაკეთდა მის შესაბამისობაში მოსაყვანად საქართველოს რეგულაციებსა და კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონის პროცესს და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროცესის“ დებულებისა და სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, დაინტერესებული მხარეების; მოხდა ბენჩმარკინგი ევროკავშირისა და აშშ-ს სხვადასხვა აღიარებულ დაწესებულებებთან.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შედგება თეორიისა და პრაქტიკის დამაკმაყოფილებელი ბალანსისაგან, რაც საშუალებას აძლევს სწავლება-სწავლის განვითარებას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით. პროგრამის შინაარსი და ზოგადად სტრუქტურა თანმიმდევრულია და ამართლებს მაგისტრის ხარისხის მინიჭებას. სამაგისტრო პროგრამის 2 წლიანი ციკლით სტრუქტურა ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი ტრიალებს სასწავლო სფეროს სპეციფიკის გარშემო, რაც არის ფილმის გადაღება და რეჟისურა და იყენებს ევროპისა და აშშ-ის სხვა სამაგისტრო პროგრამების მსგავს კომპოზიციას.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული თეორიის გაზრდით. ვინაიდან ეს სამაგისტრო პროგრამაა, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს აკადემიური კვლევის როლსა და მნიშვნელობაზე, მათ შორის მეთოდოლოგიებზე, რომლებიც ეხება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ლიტერატურის მიმოხილვას და ციტირებას, ბიბლიოგრაფიას და ა.შ. ეს არის ნებისმიერი მაგისტრატურის დონის სასწავლო პროგრამის ნორმალური მახასიათებელი საერთაშორისო დონეზე და ეს არის ასევე ერთ-ერთი მთავარი განსხვავება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლებას შორის. ეს შეიძლება მიღწეული იქნეს კვლევის მეთოდოლოგიაში კურსის დამატებით ან სხვა არსებული კურსების გაძლიერებით - მაგ. კურსისა "სამაგისტრო ნაშრომი" - კვლევის მეთოდოლოგიების მეტი კონტექსტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- უნივერსიტეტის ვებგვარდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.)

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურის გაძლიერება კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული მეტი თეორიული მასალით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ისევე როგორც გუნდის დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ მხატვრული კინოს რეჟისურის მაგისტრის ორწლიანი ციკლი და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და ნათლად აღწერს სწავლა-სწავლების აქტივობას. სილაბუსებში მითითებულია ყველა სასწავლო მასალა, როგორიცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები.

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან ასევე მხარს უჭერს და ამართლებს ურთიერთობას შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამის ECTS-ის ოდენობა არის 120, რაც შეესაბამება 60 ECTS -ს ყოველწლიურად და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. 1 ECTS განსაზღვრულია 25 სასწავლო საათით.

თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, რომლებიც ჩამოთვლილია თვითშეფასების ანგარიშის დანართში. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სასწავლო სფეროში მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, აკადემიური კურსების სპეციფიკისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას. უნივერსიტეტი, ასევე, იყენებს სტუდენტური კოჰორტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას შრომის ბაზრის ტენდენციების, მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით.

დაშვების წინაპირობები, როგორც წესი, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და შეტანილია პროგრამაში დაინტერესებულ მხარეებს შორის ინფორმაციის გავრცელების მიზნით, თუმცა მხოლოდ კრეატიული ტურის შედეგებია ხელმისაწვდომი ვებგვერდზე და არ არსებობს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პოტენციურ სტუდენტებს ინფორმაციას მიაწვდის, რათა მოემზადონ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტობისათვის. კანდიდატებმა, რომლებმაც დაამთავრეს აუდიოვიზუალური ხელოვნების/კინო-სატელევიზიო ხელოვნების ბაკალავრიატი ან ექვივალენტის, ან მაინორი კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების სფეროში, უნდა გაიარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი ტური. მაშინ, როდესაც სხვა სფეროებიდან მოსულ კანდიდატებს მოეთხოვებათ, შემოქმედებითი ტურის გარდა, წერილობითი გამოცდის ჩაბარება. პროგრამის წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამას, მის შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების შესაბამისად, პროგრამას ასევე აქვს მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატებისათვის უცხო ენის კომპეტენციის დონეს. თუმცა, რეკომენდებულია, რომ პროგრამამ ნათლად მიუთითოს ენებისა და მათი ცოდნის დონის თაობაზე იმ კანდიდატებისათვის, რომლებსაც მხატვრული კინოს რეჟისურის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა სურთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე,

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (www.batu.edu.ge)
- პროგრამების თვითშეფასების შედეგად პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვა საინფორმაციო წყაროებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და პოტენციური კანდიდატებისათვის უცხო ენის კომპეტენციის დამადასტურებელი მოთხოვნების გამოცხადება .

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეჟისურა, არსებითად, ისწავლება რეალურ სამყაროში ფილმების გადაღებით. სტუდენტებს სთხოვენ კინოს გადაღების პროცესში წარმოქმნილ ესთეტიკურ და პრაქტიკულ გამოწვევებს

უპასუხონ და ამით განავითარონ თავიანთი კრიტიკული აზროვნების უნარი; მოიპოვონ ავტონომიურობა მრავალფეროვან დისციპლინებში; და მთელი კურსის განმავლობაში შექმნან ფორმალური მიდგომების საკუთარი რეპერტუარი. პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ ტრანსფერული უნარები, მაგალითად, გუნდური მუშაობისა და პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით. ავთენტური შეფასებები ქმნის კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის, ამზადებს სტუდენტებს მომავალში რეალური სამუშაო ადგილისათვის. პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ დიპლომის მფლობელები იქნებიან მზად და კვალიფიციურნი მხატვრული ფილმის გადამღების პროფესიული ცხოვრების დასაწყებად - როგორც რეჟისორები და პროდიუსერები.

სტუდენტთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისა და სამეცნიერო ცნებების საინტერესოდ სწავლის უნარის გაზრდის გზით; პროგრამა ასევე ეხმარება მათ მომავალი სამეცნიერო აღმოჩენების და გამოგონებების პროგნოზირებაში კინოს სფეროში და ხელს უწყობს სტუდენტებში მასშტაბური სამომავლო აზროვნების განვითარებას.

ის უზრუნველყოფს უფრო მეტ დაახლოებას კრიტიციზმსა და კრეატიულობას შორის, თავს უყრის სხვადასხვა დისციპლინას და ცოდნის წარმოებისა და გამოხატვის რეჟიმებს. ის ყურადღებას ამახვილებს ტრანსფორმაციებზე კინოსა და ეკრანის კვლევებში და კინოწარმოების გზით შემოქმედებითი, შუალედური კვლევის ჩატარების ეთიკურ და ესთეტიკურ შესაძლებლობებზე. პროგრამის შემოქმედებითი შესრულების კომპონენტი შეესაბამება სწავლის შედეგებს და შეესაბამება მის სადოქტორო საფეხურს. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას კინოფესტივალებთან ასოცირებითა და თანამშრომლობით, როგორცაა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი „BIAFF“. ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა აქტივობა, რომელიც აუმჯობესებს სტუდენტების პერფორმანსს. ეს აქტივობა ტარდება მასტერკლასების სახით, სადაც ფესტივალზე მოწვეული ქართული და უცხოური საერთაშორისო ჟიურის წევრები და სხვა საპატიო სტუმრები (კინორეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები, ფესტივალის არტ პროგრამისტები/სელექტისტები) სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.

სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებლო უნარების განვითარებასთან ერთად სასწავლო კურსის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტებში პრაქტიკული, ტრანსფერული უნარების განვითარება. სხვებისთვის იდეების მკაფიოდ გადაცემის, მოულოდნელი პრობლემების გადაჭრის ან გუნდში კარგად მუშაობის უნარი არის ტრანსფერული უნარების რამდენიმე მაგალითი, რომელსაც კურსი სთავაზობს მონაწილეებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.

- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.)
- მიზნებისა და შედეგების რუკები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროგრამის შესაფასებლად სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის/შეფასების შედეგები;
- პროგრამების თვითშეფასების შედეგად პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	□	□	□

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამა ტარდება პედაგოგებისა და სტუდენტების ხელმძღვანელობით ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და ვორქშოპების მეშვეობით. მუშაობაზე დაფუძნებული სწავლა გამოიყენება როგორც საშუალება, რომლითაც სტუდენტები, ინტენსიური ტრენინგის მეშვეობით იძენენ სამუშაო გამოცდილებას და ძლიერ პრაქტიკულ უნარებს.

პროგრამა თავის სტუდენტებს უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდებით და პრაქტიკული ჯგუფური სავარჯიშოებით. თავად სფეროდან – კინოსა და კინემატოგრაფიიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი კეთდება პრაქტიკასა და სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რათა მომავალში ისინი გახდნენ წარმატებული რეჟისორები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.)
- მიზნებისა და შედეგების რუკები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროგრამის შესაფასებლად სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის/შეფასების შედეგები;
- პროგრამების თვითშეფასების შედეგად პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

